№ 198
სექდემბრის 18, ოთხშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 198
სექდემბრის 18, ოთხშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ სექტემბრიდან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“

ღირს **ოთხ მანეთად** და **თხუთმეტ შაურად** (4 მ. 75 კ.)
ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ბალახანაში:—ალექსანდრე ალხაზიშვილთან.
ხონში:—ნესტორ წერეთლისა და ს. ბახტაძის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
გორში: არტონ კასრაძესთან.
განჯაში: ა. ი. ალხაზიშვილთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

15-ს ამ თვისას გარდაიცვალა სოფელ ალში (გორის მაზრა)

დეკანოზი გრიგოლ მაჭარაშვილი

წინამძღვარი ფოთის საკათედრო ტაძრისა, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა მისი **მეუღლე ნატალია ივანეს ასული, ძმანი: მღვდელი ნიკოლოზ და სარდიონ სპირიდონის ძენი მაჭარაშვილები და ძმისწულები** და სთხოვენ მობრძანდნენ ს. ალში. დაკრძალვა იქნება 21-ს სექდემბერს—შაბათს ალის ეკკლესიის გალავანში. პანაშვიდი ყოველ დღე. 2—421—1

საჭიროა რამდენიმე პატარა ბიჭი

გაზეთის „ივერიის“ გამყიდველად. მსურველთ უნდა მიჰმართონ ვექილს გ. ი. გძელიშვილს, მიხეილის ქუჩა, № 113, დილის 9 საათიდან, 10—საათამდე.

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, № 30.

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. წლ.

ნაფიცი ვექილი
გ. ი. გძელიშვილი
გადავიდა მიხეილის ქუჩაზედ,
სახლი № 113.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ქ. ი. გძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ზ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон.

(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

მ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

მ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 9—10 ს.

გრ. ვ. ხოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

თავად-აზნაურობის თეატრი

დღეს, 18 სექდემბერს,
ხარკოვის რუსულის ოპერის არტისტების
მიერ წარმოდგენილ იქნება

ფაუსტი

ოპერა 4 მოქმედ. და 5 სურათად, აპოთეოზით,
მუს. გუნოსი.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: გაშინსკისა, დობრჟანსკისა, ბაუერი და ბ-ნნი: ლენსკი, პოლუიანოვი, ჩემეზოვი, პეტროვი და სხ.

ბალეტს ჰმართავს ბ-ნი **მენაბენი.**

კოსტუმები და აქსესუარები საკუთარის სახელოსნოსი.

ახალი დეკორაციები დახატულია ბ-ნ **ნოვაკის** მიერ.

კაპელმეისტერი ლ. პ. **შტეინბერგი.**

ხორმეისტერი ა. გ. **ზვერჟანსკი.** ადმინისტრატორი **დურანდინი.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კასა გაღებულია დილის 10 საათიდან შუადღის 3—საათამდე და საღამოს 6 საათიდან წარმოდგენის გათავებამდე.

17 სექდემბრისთვის აღებული ბილეთები ოპ. „ყვავის ქალზედ“ (Пик. дама) გამოდგება 18-სთვის ოპ. „ფაუსტზედ“.

ხუთშაბათს, 19 სექდ., ოპ. „**ევგენი ონეგინი**“.

გამგებელი სახელოვნობო მოკაზმულობისა **ივ. ფითოევი.**

ტფილისის ქალაქის მოურავის თანამდებობის ალმასრულებელი ამით აუწყებს ბ-ნთ ამომრჩეველთ, რომ პირველ საარჩევანო რაიონის კანდიდატების არჩევანი ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნებად დანიშნულია 22 სექდემბერს 1902 წელს „ტფილისის სობრანიის“ საზაფხულო სადგომში მიხეილის ქუჩაზედ.

გაცემა საარჩევანო კრებაზედ დასასწრებელ ბილეთებისა არ შესწყდება გამგეობის კანცელარიაში 21 სექდემბრამდე და თვით ამ დღესაც. ხოლო არჩევნების დღეს ბილეთები გაიცემა თვით «ტფილისის სობრანიის» სადგომში დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე. ამას შემდეგ-კი, ვინც უნდა მოვიდეს საარჩევანო კრებაზედ, კენჭის ყრაში მონაწილეობის მიღება აღეკრძალება.

ქალაქის მოურავის თანამდებობის ალმასრულებელი
მ. შესტაკოვი.
(3—ნ.—1)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან

27 ამა სექდემბერს, დილის 10 საათზედ,
ტფილისის საბჭოს დარბაზში დაიწყება

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა

საგანგებო კრება

შემდეგ საგანთა განსაბჭობად და გარდასაწყვეტად:

1) მოხსენებულ იქმნება ქაღალდი ბ-ნ ტფილისის გუბერნატორისა, ამ წლის 23 აგვისტოს თარიღით მოწერილი, იმ წესის შესახებ, რა წესითაც უნდა მოიხმარებოდეს ბანკის მოგება; 2) მოხსენება იმ ახალის წესის შესახებ, რა წესითაც უნდა დაუბრუნდეს დამფუძნებელთ მათ მიერ ბანკის დასაფუძნებლად შეტანილი ფული; 3) განაწილება ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წარსულის წლის მოგებისა; 4) როგორ იქმნას მოხმარებული 40,000 მანეთი **უმაღლესად** ნაბოძები ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობისათვის შესაწევრად ახალ-გაზდობის აღზრდისა და სწავლის საქმეში; 5) რა დანიშნულება მიეცეს იმ ფულს, რომელიც ბანკის დამფუძნებელთ არ გაიტანეს ბანკიდგან და საზოგადო საქმეს შესწირეს; 6) მოხსენება წერილისა, რომელიც გამოგზავნა უავგუსტოესის დიდის მთავრინას ქსენია ალექსანდრეს ასულის მფარველობის ქვეშე მყოფის პირველ საერთა-შორისო ისტორიულ და აწინდელ კოსტუმების და მათ კუთვნილებათა გამოფენის უმთავრესმა კომისარმა; 7) არჩევანი სათავად-აზნაურო სახლის მმართველობის თავმჯდომარისა, 8) დაწყება შუამდგომლობისა იმის შესახებ, რომ მორიგნი სათავად-აზნაურო კრებანი დაინიშნებოდეს ხოლმე იანვარსა და არა მარტს, როგორც ახლაა.

ვაუწყებ-რა ამას გუბერნიის თავად-აზნაურთ, ვსთხოვ მობრძანდნენ საგანგებო კრებაზედ დასასწრებლად. 3—ნ.—1

მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ ქვეითა ჯარის სათადარიგო პრაპორშჩიკობა: ბათუმის მაზრაში დნეპრის პოლკის უნტერ-ოფიცერს ჭეიშვილს; ხერსონის მაზრაში პრაგის უნტერ-ოფიცერს იოსელიანს.

ჩაირიცხა 14 მარტიდამ თ—დი არღუთაშვილი-მხარგრძელი სიმფეროპოლის საქალაქო ბეითალ მკურნალად.

დაინიშნა შტატს გარეშე მყოფი ბეითალი მეძმარიაშვილი სოფ. არაზდანში (ერევნის გუბერნია). ებოძა დაღესტნის ოლქის თემირ-ხან-შურის ქალაქის საპოლიციო მმართველობის საქმის მწარმოებლის და ბუღალტერობის თანამდებობის ალმასრულებელს აბულაძეს საგუბერნიო მდივნობა.

ტფილისი, 18 **სექდემბერს.**

წინა წერილში ჩვენ ვსთქვით, სოფელს დიდს სარგებლობას მოუტანდა მართალის კაცის წინამძღვრობა, ჭკვიანის კაცის სიტყვა და საქმეო.

რასაკვირველია, ქვეყანა დიდია და უკაცური არ არის, მადლიანი, საქმიანი, გამჭრიახ-გონებიანი და მართალი ადამიანებიც მოგვეპოვებიან. გარნა ასეთების რიცხვი ძლიერ მცირეა. და ვინც-კი არიან, მათი სახელები ჩვენ ყველამ ვიცით; ვიცით ისიც, თუ რას აკეთებენ, როგორ უვლიან თავის თავსაც და თავისიანებსაც, რას ნატრობენ, რას ეტრფიან და საით მიისწრაფებიან.

საქართველოს ყოველს მხარესა და კუთხეში ამისთანა მოღვაწენი თითოოროლა გვეგულება და ეს თითოოროლა რას გააკეთებს იქ, საცა უნდა იმოღვაწოს არა ერთმა და ორმა, არამედ ბევრმა და მრავალმა.

ღმერთს თავისი უხვების კალთა საქართველოში დაუბერტყია, ვამბობთ, და მართალიც არის. რა გინდა, სულო და გულო, რომ აქ არ მოიპოვებოდეს, მრავალგვარი მადანი, სასარგებლო მიწები, წყლები, ხე-ტყე, ქვა-ნახშირი, ქვა-გუნდა, ნავთი, საღებავი და სამკურნალო ბალახი, ნოყიერი მიწა ხვნა-თესვისათვის; ყოველივე ეს, მოუნიჭებია ღმერთს ჩვენთვის და ჩვენ-კი მაინც ღარიბები ვართ!

რად ვიქნებოდით ღარიბნი და უქონელნი, რომ გვყოლოდა მრავლად განათლებულნი მოწინამძღვრენი, მრავლად გაგებულნი და საქმიანი კაცნი. დიდი რაზმიც უძლურია იქ, საცა ამ რაზმს არ წინამძღვრობს ჩინებული სარდალი.

დიდი რამ არის შეგნებული მოთავე. თაოსანი კაცი, ხშირად, სულ არარაობიდამაც დიდს რასმე საქმეს მოაგვარებს. მაგალითების დასახელება საჭირო არ არის. ყველამ იცის, ან გაგონილი მაინცა აქვს, რაც შეუძლიან თვით ერთის კაცის ცდას, მარჯვენას, მესვეურობას.

სამწუხაროდ, ვიმეორებთ, ამისთანა მესვეური კაცები, ამისთანა მოჭირნახულე და სოფლისათვის თავდადებული ადამიანები ჩვენში ნაკლებად არიან.

ზრდილნი იყვნენ იმერნიო, დარბაისელნი—მესხნი, პურადი და გულადი—ქართლელი, მხნე და მეომარი—კახი და მრეწველობისა და აღებ-მიმცემობის მიმყოლი ერთობ ყველა ქართველი. როგორ იქნებოდნენ ან ზრდილნი, ან დარბაისელნი, ან გამრჯენი, რომ არ ჰყოლოდათ შესაფერნი აღმზრდელნი, გამრჯე მოძღვარი-მასწავლებელნი, ნიჭიერნი მეთაურნი და მესვეურნი...

ხალ გონებას ჯანიც ხალი უნდაო, ამბობს რომაული ანდაზა, მაგრამ ეს სიბრძნე, რომელიც ყოვლად საჭირო იყო მეტადრე სწავლების საქმეში, ისე ვერავინ შეიგნო, როგორც აწინდელმა სახალხო განათლების მინისტრმა ბ-ნმა ზენგერმა. ამას ამტკიცებს მისი უკანასკნელი განკარგულება, რომლითაც სწავლების საქმის გამძღოლთ დაევალათ, ეხლავე დიდი ყურადღება მიაქციონ მოწაფეთა ბუნებრივ განვითარებას სხვა-და-სხვა საამისო ღონისძების ხმარებით.

ამიერიდგან იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ვიდრე ჩვენი შვილები სწავლაში იქმნებიან, აღარ დასჩემდებათ დაქანცულობა, თვალის ჩინის სისუსტე და სხვა სენი, თავის მოუვლელობისა და უპატრონობისაგან მოვლინებული და მოზარდი თაობა, გონების გარდა, ბუნებითაც სრულ-ყოფილი გვეყოლება.

მაგრამ დავიჯეროთ, სკოლაში ყოფნის დროს, ჩვენის შვილების ჯანმრთელობას არავითარი ხიფათი მოელის? არა გვგონია. ხიფათი დიდია და მოსალოდნელი თვითონ იმათგან, რომელნიც მოწოდებულნი არიან მათდა გონებრივ და ბუნებრივ გასავითარებლად. რამდენად სანატრელია ჯანსაღი მოწაფე, იმდენადვე სანატრელი უნდა იყოს ჯანსაღი მოძღვარი, ამ მოწაფის გონებისა და ჯანის გასახსნელად მოწვეული. დიაღ, სანატრელია და საჭიროც არის, მაგრამ ბ-ნ მინისტრის განკარგულება ამის თაობაზე არაფერს გვეუბნება. რასაკვირველია, ეს უკანასკნელი გარემოებაც თავისთავად იგულისხმება სწავლების საქმეში, ისე როგორც აქამდე იგულისხმებოდა მოწაფეთა ჯან-ღონის განვითარებაც, მაგრამ აკი საჭირო გახდა მაინც განსაკუთრებული საამისო ღონისძიება დაკანონებულიყო. ისევეა, ჩვენის ფიქრით, საპატრონო მასწავლებელთა ჯანმრთელობის საქმეც, თორემ, წარმოიდგინეთ, ქორფა, ჯანსაღი ბუნების მქონე მოწაფე, რომელიც ადვილად იტვიფრება ყოველის გავლენისაგან, და გადამდების რამ სნეულებით დაავადებული მასწავლებელი, რომელიც იძულებულია თავის ჯანსაღ მოწაფეს თავს ადგეს, პირში ელაპარაკოს, ხელი მოჰკიდოს და ასუნთქებინოს თავისი გვამიდგან ამონასუნთქი შხამიანი ჰაერი. ცხადია, ადრე იქნება თუ გვიან, ეს მოწაფე მსხვერპლი შეიქნება თავისი სნეულის მასწავლებლისა და რა ჰქმნას საწყალმა მშობელმა? შვილის უსწავლელობა იტიროს, თუ ზედ დართული მისი ავადმყოფობა? დიაღ, როგორც ჯანსაღი მოწაფეა სანატრელი, ისევე სანატრელია ჯანსაღი მასწავლებელი და კარგი იქნება ყოველი სასკოლო მთავრობა ამ გარემოებასაც მიაქცევდეს ყურადღებას მასწავლებელთა მოწვევის საქმეში.

ტფილისი

✦ ყოვლად-სამღვდელო კირიონი, ეპისკოპოსი ბალტისა დღეს-ხვალ გაემგზავრება რუსეთს კამენეც-პოდოლსკში, საცა იგი გადაყვანილ იქმნა ამას წინად ეპარქიად. ყოვლად-სამღვდელომ თვისი ბარგი და, სხვათა შორის, თავისი ძვირფასი ბიბლიოთეკა, უკვე გაგზავნა ამ სამის დღის წინად რუსეთს.

✦ მოგვივიდა მერვე ნომერი (აგვისტოს წიგნი) ჟურნალის „მოამბისა“. მოგვყავს აქ მისი შინაარსი: კურცხალა და ხატი, გაგონილი ამბავი ([illegible]) შ. არაგვისპირელისა; სასიკვდილოდ განწირულნი, (ისტორიული დრამა) გერჰარტ ზუდერმანისა, თარგმანი ინ-ანისა; ტარას ბულბა, (მოთხრობა) ნ. ვ. გოგოლისა, თარგმანი ინ-ანისა (გაგრძელება); ხენთი, რუს-ოსმალეთის (1877—1878 წ.) უკანასკნელ ომის დროის ისტორიული რომანი. რაფფისა (თარგმანი სომხურიდან) ბ.

ევანგულოვისა; სამნი, მ. გორკისა, თარგმანი პოლუმორდვინოვისა; მაკბეტ, გერვინიუსისა; უცხოეთის მიმოხილვა: გერმანია, სამთა კავშირის განახლება.—ვილჰელმ II პოზნანში.—გერმანელების „ოლტაცება.—როგორ ჰქმნიან „ოლტაცებას“.—პოლონელების სიჩუმე.—ლანდმარშალის სიტყვა.—იმპერატორის პასუხი.—რუსის აფიცრები პოზნანში; საფრანგეთი.—დე სენ-რემის საქმე.—ორგვარი დისციპლინა.—ვიქტორ-ჰიუგოს ძეგლი ბეზანსონში; დამატება.—საბერძნეთის ძველი ისტორია დასაწყისიდან დამოუკიდებლობის დაკარგვამდე, ფრანგულიდან ნათარგმნი ვ. ლ—სა.

✦ გუშინ, 16 სეკდემბერს, დაბრუნდნენ ტფილისს ჯარები საზოგადო ალლუმიდგან.

✦ წმ. ნინოს სასწავლებელი აცხადებს, რომ კიდევ არის ვაკანსიები მეშვიდე კლასში, აგრეთვე მეხუთესა, პირველსა, უმცროსსა და უფროსს განყოფილებაშიო. შეგირდები უფრო ისეთები იქმნებიან მიღებულნი, რომელნიც პანსიონში იქმნებიან მიბარებულნიო.

✦ ქალაქის საქიმიო ლაბორატორიაში დღეის იქით შეწყვეტილი იქნება მუშაობა, სანამ იგი არ მოეწყობა ახალ შენობაში, მექევოის ქუჩაზედ, ყავრიშვილის სახლში

✦ გუშინ, ქალაქის სახლის წინ ერევნის მოედანზედ მოხდა საჯარო ვაჭრობა ნიჟეგოროდსკის რაზმის ცხენებისა; ცხენები ძალიან იაფად იყიდებოდა, ხალხი აუარებელი მიაწყდა სავაჭროდ.

✦ 19 ამ თვეს დანიშნულია ქალაქის ხორცის დუქნების მეთვალყურე კომისიის წევრთა კრება; კომისიამ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს ხორცის დუქნების დამართვის შესახებ სხვა-და-სხვა საგნები. დუქნები უნდა დამართოს ავლაბარსა და ვერაზედ.

✦ როგორც გვიამბეს, სოფელ ალში, გორის მაზრისკენ, კვირა საღამოს გარდაიცვალა ფოთის ტაძრის წინამძღვარი მხცოვანი დეკანოზი გრიგოლ მაჭარაშვილი.

✦ 19 ამ თვეს დანიშნულია ტფილისის სასკოლო აღმასრულებელ კომისიის წევრთა კრება, რომელზედაც უნდა განხილულ იქმნას ქალაქის დებულების ის მუხლი რომლის ძალითაც ქალაქის პირველ-დასაწყისს სასწავლებლებში კურს-დამთავრებულთ ნება აქვთ ქალაქისავე ქალთა საპროფესიონალო სკოლაში შესვლისა.

✦ ამ ჟამად ყაზახ-ბორჩალოს მაზრაში და საზოგადოდ ტფილისის გარშემო საქონლის საძოვარ ადგილებში საქონლის ჭირს საკმარისად უკლია; ამიტომ საქონლის მოვაჭრეთ რომ გაუადვილონ ქალაქში საკლავ საქონლის მორეკა, საგუბერნიო საბეითალო მმართველობა ამ ცოტა ხანში გამოსცემს საშეღავათო წესებს; ამ ჟამად კომისია უკვე მუშაობს ამ წესების შემუშავებაზედ, რის დამთავრებასაც მალე მოელიან. თითო პირი ამ წესებისა წარედგინება სახელმძღვანელოდ ადგილ-ადგილ ბეითლებსაც.

✦ დღეს, 18 ამ თვეს, დანიშნულია ქალაქის გამგეობის წევრთა კრება, რომელმაც უნდა განიხილოს ვერის ხიდის ყურთან კერძო კაცთაგან ქალაქის ადგილის დაჭერების საქმე.

✦ როგორც ამას წინადაც გვქონდა მოხსენებული, ბ-ნმა ოტტენმა აფთიაქი გადიტანა საკუთარ სახლში სოლოლაკში. ბ-ნ ოტტენს დიდი ყურადღება მიუქცევია თავის მოხელეთა საცხოვრებელ ოთახების მოწყობისათვის. ყური მოვკარით, რომ ამავე აფთიაქში უნდა შემოიღონ შეღავათიანი მუშაობა; სასურველია, რომ სხვა მეაფთიაქეებსაც წაებაძნოთ ამისთანა კარგის მაგალითისათვის.

✦ ამ სეკდემბრის დამლევს მოელიან პეტერბურგიდგან ტფილისში რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსს ბ-ნ პეტროვს; ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის გამგეს განზრახვა აქვს პეტროვს წარუდგინოს მოსამსახურეთა თხოვნა, რომ ამ დაწესებულებაში მომუშავეთა სამუშაო დრო შემცირებულ იყოს დ 8 საათს არ აღემატებოდეს დღეში.

✦ ამ თვის მიწურულებში უნდა მოხდეს ფარმაცევტთა საზოგადოების წევრთა კრება, რომელზედაც უნდა განხილულ იქმნას შარშან მოსკოვში ფარმაცევტთა კრებაზედ დადგენილი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ აფთიაქებში შემცირებულ იყოს მოსამსახურეთათვის სამუშაო დრო; კავკასიის საფარმაცევტო საზოგადოების წევრებმა უნდა განმარტონ, თუ რამდენად შესაძლებელია ამ დადგენილების განხორციელება აფთიაქებში.

✦ ტფილისიდგან სალდათად გაყვანილ ყმაწვილ კაცების კენჭის ყრა დაიწყება 15 ოკდომბრიდგან. წელს ტფილისიდგან გაწვეულნი არიან 650 ყმაწვილი კაცი, ამათში 176 კაცს უნდა ერგოს კენჭი.

✦ პოლიცმეისტერი სთხოვს ქალაქის გამგეობას, რომ მოახერხოს როგორმე და მოჰფინოს ქვით, რა სისტემითაც უნდოდეს, შემდეგი ქუჩები: პირველ განყოფილებაში: გუნიბისა, ყაზბეგისა, დუშეთისა, მატერიალნი, იზმაილოვისა, მალო-სუდებნისა, არაგვისა და გაბაევის ვიწრო ქუჩა; მეორეში: კლასიჩესკისა, დავითისა და ვეძინისა; მეექვსეში: სილდაბათისა; მეშვიდეში—ლაზარევისა, ვახტანგისა, ნორიოსი, კობოროვსკისა, პეტრე-პავლესი და ფალავანდიშვილისა; მერვეში: დესიმონისა, ეკატერინისა, პანასკევიჩისა, თივის მოედნისა (**СѢННАЯ ПЛОЩАДЬ**), სურბ-კარაპეტისა, იზვოზნისა და ბორანთან ჩასახვევ რიყის ვიწრო ქუჩისა, ამატუნის ქუჩისა და წყლისაყვანის ჩასავლისა; მეცხრეში: მინკვიცისა (წინად თუმანოვისა), ანტონისა, ველიკო-კნიაჟესკისა და კოჩუბეისა; მეათეში: ტატონისა, სურამისა, ბატარეისა, გოგოლისა, მალაკნებისა, აბასთუმნისა და ავჭალისა. ამ ქუჩების ქვით მოფენა მეტად და მეტად საჭიროა და საჭიროა რაც შეიძლება მალე, ვიდრე დაიწყება შემოდგომის წვიმები და ზამთრის ჭინჭყლიანი დღეები.

✦ როგორც გავიგეთ, პროფ. ალ. ხახანაშვილსა და ბარონ დე-ბაის განუზრახავთ მომავალ წლის მაისში არქეოლოგიურის აზრით ლაზისტანში მოგზაურობა. ამ მოგზაურობაში მონაწილეობის მიღებას რამდენიმე ბათუმელიც აპირებს („ცნ. ფ.“).

✦ იმავე გაზეთს შეუტყვია, რომ დამსახურებულ მხცოვან-მასწავლებელს სამღვთო სჯულისას ვაჟთა ტფილისის პირველ გიმნაზიაში, დეკანოზს ხელიძეს სამსახურისათვის თავი დაუნებებია. როგორც გადმოგვცეს, ამის მაგიერ გადმოჰყავთ ერევნის გიმნაზიის სამღვთო-სჯულის მასწავლებელი დეკანოზი ჯიოშვილი.

ჩვენებური ამბები

სურამი. დაარსდა აქ ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა. შენობა, რომელშიაც მოთავსებულია სკოლა, ააშენა თავის ხარჯით აქაურმა მღვდელმა და დაუთმო სკოლას. სწავლა უკვე დაიწყო. ჯერ-ჯერობით 30 შეგირდზე მეტი დაიარება სკოლაში. მასწავლებლად მოწვეულია ტფილისის სასულიერო სემინარიაში კურს-დამთავრებული ა. ღვინიაშვილი. საკვირაო სკოლის დაარსების ნებართვასაც დღე-დღეზე მოველით.

—

ტყიბული (ქუთაისის მაზრა). როგორც იყო რაჭას ბედმა გაუღიმა და ნაქერალზე გზის გაყვანას ელირსა ამ 3-ის წლის წინად. ჩვენდა საუბედუროდ, მას აქეთ კაცის ხელი აღარ მიჰკარებია ამ გზას: ხიდები ჩანგრეულია, გზა ყველგან გაფუჭებულია. საჭიროა ახლავე ვიზრუნოთ, შევაკეთოთ გზა, თორემ მერე გვიანღა იქნება.

ბუგეულს იციან ბაზრობა ენკენისთვის 3-დგან 10-დე და ძრიელ ბევრი ხალხი მოდის სავაჭროდ. ყველა სცდილობს ამ ბაზრობაზე იმდენი რამე იყიდოს, რომ წლამდის ეყოს. საუბედუროდ ხიდი აუღიათ იჯარით და გამვლელსა და გამომვლელს ბაჟად ახდევინებენ სულზე 10 კაპიკს და ამიტომ საწყალს ხალხს მეტად გაუჭირდა ბაზრობაზე მოსვლა.

—

სოფ. წაღვლი (გორის მაზრა). 25 აგვისტოს აქ შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა: წაღვლში მცხოვრებს გიგა ლომაძეს და მის ძმისწულს ვასო ლომაძეს ჩხუბი მოუვიდათ და ერთმანეთზე საცემრად იწიეს. ვასო ლომაძის დედა, რომ გაიგო ჩემს ერთად-ერთ შვილს სცემენო, გამოიქცა სახლიდან, მოჰკიდა შვილს ხელი დ ძალით სახლისკენ წაიყვანა. უკან დაედევნა გიგა ლომაძე და ესროლა ქვა, რომელიც თავში მოხვდა ვასო ლომაძის დედას. დაშავებული ორის დღის შემდეგ გარდაიცვალა.

—

რეხა (ბორჩალოს მაზრა). უნდა მოგახსენოთ უკიდურესი მდგომარეობა რეხელ ქართველებისა. ესენი საშინელს გაჭირვებას ითმენენ გარეშემო მცხოვრებ ბერძენთა წყალობით, რომელთაც ქართველებზედ იმოდენი გავლენა იქონიეს, რომ თითქმის ქართული ენა დაავიწყეს. საწყლებმა ლეონიდე ეპისკოპოზს სთხოვეს ქართველი ღვდლის დანიშვნა, რადგანაც ბერძნების ღვდლებისა არა ეყურებოდათ-რა და, როცა ქართველი დაინიშნა ღვდლად, ბერძნები წამოედავნენ, ჩვენც უნდა მოგვეცეს ნება ბერძნული წირვა-ლოცვისაო, რადგანაც რეხაში ბერძნებიც ცხოვრობენო, თუმცა-კი ის ბერძნები იგივე ქართველები არიან, მხოლოდ ბერძნების წაქეზებით ბერძნებს მიეწერნენ და ბერძნული-კი არა ეყურებათ-რა. რა უბედურობა უნდა იყოს, რომ მამა ქართველებისკენ იწევდეს და შვილი-კი ბერძნებისკენ. სულ ასე უბედურად არიან დაყოფილნი. მურმანიშვილებში მამა ქართველია და შვილები-კი ბერძნებს მიეწერნენ. გარდა ამისა, იმათ მხარეს გადავიდნენ საბაძეები, ვახტანგიშვილები, დალაბანდიშვილები, ზანდარაშვილები და სხ... ამათ ყველამ ბერძნის მღვდელი მიიმხრეს და ჩვენ ქართველების ეკლესიაში თხოულობენ წირვის ნებართვას.

—

ფასანაური. ამ თვის 10-ს დუშეთში მოხდა მესამე ოლქის სამღვდელოთა კრება, დიმიტრი მეტრეველის თავმჯდომარეობით. კრებაზედ ამოირჩიეს წევრნი დუშეთის სანთლის ქარხნისა და განიხილეს სხვა საქმეებიც. იმავე კრებაზედ მეტრეველის მიერ შეგროვილ იქმნა შვიდი მანეთი და 5 კ. სასარგებლოდ ქართლის მედავითნის აბრამ კობაიძის ქვრივისა და მის ორის ობლისა.

1899 წელს ქვემო მთიულეთში მოფენილი იყო შავი ყვავილი, რომელმაც ძალიან დააზარალა ხალხი. სხვათა შორის, მოუსპო დღე მედავითნე აბრამასაც.

ფასანაურელი.

† ემილ ზოლა

(ნეკროლოგი)

პარიჟიდამ დეპეშით გვაცნობებენ, რომ ამ თვის 16-ს საოცარის სიკვდილით გარდაცვლილა საქვეყნოდ განთქმული მწერალი ემილ ზოლა. ზოლა დაიბადა 2 აპრილს 1840 წ. პარიჟში, მამით იყო იტალიელი და დედით ფრანგი. მის მამას თვით სლავიანური სისხლიც ედგა. ზოლას მამა ინჟენერი იყო, რომელიც ადრე გარდაიცვალა და დასტოვა ღარიბი ოჯახი. გარდაცვალებულის მეგობრებმა სამადლოთ აღზარდეს პატარა ემილი და მისცეს შეძლება განათლების მიღებისა. რადგანაც უმაღლეს სასწავლებელში კურსი ვერ დაამთავრა, ემილ ზოლა იძულებული იყო ჯერ სავაჭრო კანტორაში შესულიყო და მერე განთქმულ პაშეტის წიგნების მაღაზიაში ემსახურნა.

პირველი კრებული მისის ნაწერისა გამოვიდა 1864 წელსა. 1866 წელს ემილმა პაშეტთან სამსახურს თავი დაანება და გახდა მუდმივი თანამშრომელი გაზეთის „Événement“-ისა თითქმის სწორედ მაშინ, როდესაც საფრანგეთის იმპერია თვისის იმპერატორით ნაპოლეონ მესამეთი სამუდამოთ დაემხო; ემილ ზოლამ დაიწყო ბეჭდვა თვისის უშველებელის რომანისა, რომელიც შეადგენს თორმეტს ტომს, სახელად „რუგონ-მაკარები“. ამ რომანებში მან დახატა ის გარყვნილი ოჯახი და საზოგადოება, რომელიც იყო ნამდვილი შედეგი ნაპოლეონ მესამის სამარცხვინო მეფობისა.

ამ რომანებით ზოლამ გაითქვა სახელი არამც თუ საფრანგეთში, მთელს საქვეყნო მწერლობაში და ყოველი მისი რომანი ყველა ევროპიულ ენაზე ითარგმნებოდა.

რუსეთის მწერლობაც დიდს პატივსა სცემდა მის ნიჭს და, ტურგენევის რჩევით, რომელიც დიდი მეგობარი იყო ზოლასი, რამდენიმე წელიწადი მუდმივი თანამშრომელი იყო ჟურნალ „**Вѣстникъ Европъ**“-ისა, სადაც ის ჰბეჭდავდა თავის „წერილებს პარიჟიდამ“.

განთქმულ რომანისტს არავითარი ინტერესი არა ჰქონდა პოლიტიკისა და საზოგადო საქმეებისა; ვინც პოლიტიკას და საზოგადო საქმეს ეხებოდა, იმას სულელს ეძახდა. მხოლოდ ამ უკანასკნელს ხანებში ზოლა პირველი ჩაერია დრეიფუსის საქმეში, რომელმაც აალელვა მთელი საფრანგეთი და თვით ზოლასაც ბევრი უსიამოვნება მიაყენა.

კავკასია

კავკავი. ამ წლის ივლისიდგან აქ დაარსდა „სახელმწიფო ღვინის დუქნები“. მონოპოლიის შემოღებამ დიდი გავლენა იქონია აქაურს ხალხზედ, რადგანაც აქეთ ლოთობამ და მასთან ქურდ-ბაცაცობამ ცოტა არ იყოს შესამჩნევად იკლო; აქამდის სამიკიტნოებსა და ღვინის სარდაფებში გახშირებული იყო ყოველ-გვარი ცუდი ზნე-ჩვეულებანი, რომლის მსხვერპლად არა ერთხელა და არა ორჯელ გამხდარა საწყალი კაცი. სამიკიტნოების მოშლამ, რომელსაც ყოველთვის ეტანებოდა, ბევრი მუშა ქართველობა, ზოგი ერთი გადააჩვია კიდეცა ამ ცუდს სენს ლოთობას. რაც შეეხება სხვა ერსა და განსაკუთრებით რუსობას, მათ მაინც არავითარი ცვლილება არ ეტყობათ. პირ-იქით, თუ წინად დაფარული ლოთობა იყო მივარდნილს სამიკიტნოებში, ეხლა იგივე გადაიტანეს ქუჩებში, სადაც დუქნებიდგან გამოტანილს არაყს გულ-მოდგინედ მიირთმევენ და, შინ დაბრუნებულნი, სჩადიან ათას გვარს უწესოებას.

8 სეკდემბრიდგან ძალიან ცუდი ამინდია, სიცივე თან-და-თან ემატება. 14-ს საღამოს თოვლითაც-კი მოიფინა კავკავის ქუჩები, მაგრამ 2 საათის შემდეგ ისევ განჰქრა. კარტოფილისა და სიმინდის მოსავალი წელს პირიანია.

ა. ყაბარაული.

უცხოეთი

იტალია. იმ მითქმა-მოთქმის შესახებ, რომელიც საფრანგეთის ზღვათა მინისტრის პელტანის სიტყვამ გამოიწვია, აი რასა სწერს „**Memorial diplomatique**“-ის რომის კორესპონდენტი:

„რომის ოფიციალურ წრეებში პელტანის სიტყვას მაინცა და მაინც არც არავინ შეუშინებია და არც არავის მიუქცევია დიდი ყურადღება მისთვის. კაბინეტის ერთ-ერთ წევრთაგანის სიტყვით, როდესაც მეფემ წაიკითხა პელტანის განცხადება, მხოლოდ ღიმილი მოუვიდაო, რადგან პელტანი მას მიაჩნია „ჰკვიან ჟურნალისტად და სახელდახელო მინისტრადაო“. მეფემ დაუმატა, სრულიად დამშვიდებული ვარ საფრანგეთისა და იტალიის ეხლანდელ დამოკიდებულობითაო. თუ საიდგანმე მოსალოდნელია საქმის გართულება, ეს მხოლოდ აღმოსავლეთითაო. ჰგონებენ, რომ მეფე ადრიატის ზღვას გულისხმობსო და სწორედ იქითკენაა დღეს მიმართული იტალიის პოლიტიკოსთა ყურადღებაო.

— რომიდგან ატყობინებენ „**Temps**“-ს, რომ მონცში ეს რამდენიმე დღეა, რაც ფეიქართა გაფიცვა მოხდაო. გაფიცულთა რიცხვი 5,000 აღემატებაო. ცამეტი ქარხანა დაიხურა; ქარხნის მეპატრონენი ფეიქართა მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზედ უარს არიანო.

ფელეტონი

გურია

მწუხარე და მოსალოდნელი გაჭირვება.

დიდად უგემური და უხამსი იყო შარშანდელი წელიწადი თვისის მოუსავლობითა და სიძუნწით, რის მწარე შედეგიც მძიმე და აუტანელ ტვირთად დააწვა ადგილობრივ მკვიდრთ. ჯერ ისევ მარტსა და აპრილში ფუთი სიმინდი სამ აბაზ-ნახევრად ფასობდა. შემდეგ თანდათან იმატა, ხოლო ბოლო დროს მანეთად და ზოგან ექვს აბაზადაც გაიყიდა. ასეთს სიძვირეს სიმინდისას ამ უკანასკნელ ორმოცის წლის განმავლობაში არავინ მოსწრებია. ათს ოჯახში ცხრას მაინც საზრუნავად და საყიდლად გაუხდა დღიური საზრდო. სიმინდის პატრონებმა სიხარულით ცას მოავლეს ხელი, აღდგომა გაუთენდათ. რამდენადაც სიმინდის მაზანდა მატულობდა, იმდენად იზრდებოდა იმათი სიხარბე. წარმოიდგინეთ, დღესაც არიან ისეთნი გულშემატკივარნი და მოყვარულნი მოყვრისა, რომ გასაყიდი სიმინდი აქნამდე ხელუხლებლად შეუნახავთ. რა მოსაზრებით და ანგარიშითაო, იკითხავთ თქვენ. ასეთი საკითხი თქვენს გულუბრყვილობას ამტკიცებს და სხვას არაფერს. რა თქმა უნდა, იმ მოსაზრებით, რომ აწ არსებულ საარაკო ფასებზე კიდევ მეტად გაყიდონ თავიანთი სიმინდი. თუ გინდათ ასეთ ადამიანებს (?) დროებით მაინც გული მოუკლათ, უნდა უთხრათ, რომ სიმინდი გაიაფებულა-თქო. ამის გაგონებაზე სწორედ ერთს სიკვდილს გამოივლიან, და მართლაც რომ სასწაული მოხდებოდეს და სიმინდი გაიაფდებოდეს, ისინი ამის ფიქრსა და დარდს ზედ გადაჰყვებიან.

ასე თუ ისე, დღემდე როგორც იყო, ხალხმა თავი მოიტანა. შარშანწინდელ წლის ცხიმმა და დოვლათმა შარშანდელის წლის სიმჭლევეს, თუმცა დიდის გაჭირვებით, მაგრამ მაინც გაუძლო. ეს დღემდე. ხოლო რა იქნება ამის შემდეგ, აი, ჩვენი საჭირ-ბოროტო საკითხი, რომელიც ახლავე გვაღონებს და გვაფიქრებს. საქმე ის არის, რომ წლევანდელი წელიწადი შარშანდელზე უფრო მჭლე და უბარაქო იქნება. ჯერ იყო და მარიამობისთვის პირველ რიცხვებში ძლიერმა დასავლეთის ქარმა დაგვაზარალა. შემდეგ ცხრამეტ იმავე თვის ღამე ღვთის რისხვად მოგვევლინა. საშინელმა სეტყვა-ქარიშხალმა არა ნაკლებ საშინელი ნიაღვრები და ზვავები გამოიწვია, ხოლო ყოველისავე ამის გამო ჩვენი მდინარეები, რომელთა რიცხვი არა მცირედია, ისე ადიდდა, რომ წარმოსადგენადაც ძნელია და იმდენი ზარალი მოგვაყენა, რომ აღნუსხვა და დაფასება შეუძლებელია. ამავის შესახებ ადგილობრივ გაზეთებში არა ერთი და ორი წერილი დაიბეჭდა. მაგრამ განა შესაძლოა ნაჩქარევლად დაწერილ უბრალო კორესპონდენციაში აიწეროს ყველა ის ვნება და უბედურება, რაც იმ ძვირხსენებულმა ღამემ თავს დაგვატეხა! განა, შესაძლოა კალმით აიწეროს, ენით გამოითქვას და ქაღალდმა დაიტიოს მწუხარება ალმასხან ანდღულაძისა, რომელსაც ადიდებულმა მდინარემ ეგრე მოულოდნელად ცოლ-შვილი დაუხრჩო, სახლკარი წაართვა, ეზო და მიდამო ქვებისა და ლოდების გროვად უქცია!

ახლა სხვა ზარალი აღვნიშნოთ და გავითვალისწინოთ. აოხრებული წისქვილები, განადგურებული ხიდ-ბოგირები, რიყედ ქცეული, წალეკილ-წაშლამული საუკეთესო ყანები, დამხრჩვალი ხბორები და სხვა სხვილი საქონელი, სეტყვისაგან დაბერტყილი ვენახი და დახოცილი შინაური ფრინველი, ზვავებისაგან უქმ-ქმნილი ადგილები. ყოველივე ეს ერთად და თითოეული ცალკე იმდენად საგრძნობი უბედურებაა, იმდენად მწვავე განსაცდელია ხალხისათვის, რომ რამდენიმე ბედნიერი და უხვ-მოსავლიანი წელიწადია ზედიზედ საჭირო, რომ დაზარალებულნი გამობრუნდნენ, წელში გაიმართონ, ცხოვრების მძიმე უღელში კვლავ შეებან და მტერს და მოყვარეს ანგარიში მისცენ.

რაც მოგახსენეთ, ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი გაჭირვება და უნუგეშობა მოველის მოსავლის აგრედ განადგურების გამო გამოკვების მხრივ. მომავალი წელიწადი წლევანდელზე უფრო თავში საცემი და საზრუნავი გაგვიხდება. წლევანდელი მრავალ გვარად დაბრკოლებული მოსავალი ძნელად რომ ვისმე სანახევროდ ეყოს. წელიწადის მეორე ნახევარს რითი-ღა გაუძლებს კაცი და რა პასუხი გასცეს? თუ ვისმე ორიოდე გროში თავისი გააჩნდა, ან სხვისგან სასესხებლად იშოვა, ის უკვე დახარჯულია წლევანდელ სიმინდის ძვირობაზე. მაშასადამე, საგაისოდ აღარც ფული გვექნება და სიმინდიც ძნელად დ ძვირად საშოვნელი გაგვიხდება. სადღა გვექნება სიმინდი, როდესაც საუკეთესო მოსავლის მომცემი ადგილები ჩვენში მდინარეების მიდამოები იყო და სწორედ ეს ადგილებია ეხლა განიორწყლებული და გაოხრებული. ამნაირად წლევანდელი მოსავალი ხომ გაგვინახევრდა და თითქმის ცარიელზე დავრჩით, მაგრამ ჩვენი უბედურება ამითი არ გათავებულა. ნაწყლური ადგილები უმეტეს ნაწილად ისე მირიყული, რომ საყანედ მომავალშიაც არ გამოდგება. ასეთსავე მდგომარეობაშია მთების საყანე ადგილებიც, სადაც ზვავებმა ყანები სრულიად გაანადგურა, ხოლო თითონ ადგილები, რა თქმა უნდა, საუკუნოდ უვარგისი გახადა.

—

კარგია, რომ ჩვენის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლს უმაღლესის მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღძვრა უნებებია, რათა წყალ-დიდობისაგან უფრო დაზარალებულ სოფლებს წლევანდელის გარდასახადის დროება მიეცეს.

მას შემდეგ, რაც სასოფლო მაღაზიებს სოფლის პატრონებმა ველარ უპატრონეს, ე. ი. არა თუ ვერ უპატრონეს, არამედ თითონ დაეპატრონენ სრულიად და სოფელს ერთი გახვრეტილი სიმინდის მარცვალიც არ არგუნეს, მთავრობამ მაღაზიების მაგივრად დააწესა ეგრედ წოდებულის **продовольственный капиталъ**-ის შესადგენად კომლური გარდასახადი. ასეთი გარდასახადი ჩვენში, თუ არ ვცდები, ათი თუ თხუთმეტი წელიწადია რაც იკრიბება და ალბად ახლა დიდი თანხა იქნება მოგროვილი და, რასაკვირველია, საიმედო ალაგსაც იქნება დაბინავებული. მოსალოდნელია, რომ შემოდგომის ბოლოს, თუ გურიაში არა, სხვა უფრო ბედნიერ ადგილებში მაინც, სიმინდის მაზანდა დაიკლებს და აი, **продовольственный КВПИТАЛЪ**-მაც აქ უნდა უშველოს შევიწროებულსა და გაჭირვებულ ხალხს. დახმარება ისე უნდა მოაწყოს, რომ თავის დროზე დასახელებულის თანხით იყიდოს სიმინდი და მიჰყიდოს ხალხს. ამითი იმ თანხასაც არაფერი დააკლდება და ხელ-მოკლე ხალხიც ჩარჩების ბრჭყალებიდგან განთავისუფლდება. წინ-და-წინვე, რა თქმა უნდა, საჭიროა დანამდვილებით გაგება და გარკვევა იმისი, თუ რომელ სოფელს რამდენი სიმინდი დააკლდება და სხვ. ეს ღონისძიება ამ ულონობისა და უნუგეშობის დროს მე უფრო სანუგეშო, უებარი და მასთან სამართლიანიც მგონია.

—

წელს ჩვენში აქა-იქ მომხდარი (მგზავრების გაძარცვა ნასაკირალზე, და დუქნების გატეხა) პირდაპირ შედეგია, პირმშო შვილია მოუსავლობისა.

შიმშილს მოჰყვება სხვა-და-სხვა სენისა და მოარულის გავრცელება, ხოლო ყოველსავე ამას მოსდევს ზნეობრივად, ქონებრივად და გონებრივად დაძაბუნება ხალხისა.

კიდევ კარგი, რომ ჩემი შიში მოუსავლობა-შიმშილობისა მარტო ერთისა და ორის წლით განისაზღვრებოდეს. ამ მხრივ მე ჩვენის ქვეყნის უფრო შორეული მომავალიც ძლიერ მაღონებს და მაფიქრებს. ხალხი გამრავლდა. ადამის დროინდელ სამეურნეო ცოდნასა და იარაღთან ცოტა ადგილი აღარ ეყო. მთისკენაც გაიწია და ზღვისკენაც. იქაც და აქაც უწყალოდ გაჩეხ-გაკაფა ტყეები და საყანე ადგილებად აქცია. ზღვის ნაპირების გავერანებამ დასავლეთის ქარი გაახშირა და გააძლიერა. მთების გატიტვლებამ ზვავები და

ბელგია. გარდაცვალებულ ბელგიის დედოფლის სარეცელთან დიდი უსიამოვნობა მოხდა მეფე ლეოპოლდსა და მის მეორე ქალს, ყოფილს ავსტრიის კრონ-პრინცესის სტეფანიისა, ეხლანდელ გრაფინია დე-ლონიის შორისაო. მეფე მეუღლის გარდაცვალების შემდეგაც-კი არ შეურიგდა თავისს ურჩს ქალსა. ბრიუსელიდგან ატყობინებენ გაზეთ „Berl. Tagebl.“-ს:

„გუშინ აქ მოვიდა სპადგან გრაფინია დე-ლონიისა. როგორც იქიდგან ატყობინებენ ბრიუსელის გაზეთებს, გრაფინია საღამოს $6^1/_2$ საათზედ სრულიად მოულოდნელად წავიდა ბრიუსელს, რადგან მეფემ უარი განაცხადა იმ ოთახში შესვლაზედ, რომელშიაც გრაფინია დედის ცხედარის წინაშე ლოცულობდაო. ბრიუსელის სადგურზედ დიდ-ძალი ხალხი დაუხვდა გრაფინიას; მის დანახვაზედ ყველამ ქუდი მოიხადა და ვაშას ძახილი მორთო. როგორც ამბობენ, გრაფინია დღესვე ლონდონს გაემგზავრებაო.

შეერთებული შტატები. გასულს კვირას, პრეზიდენტმა რუზველტმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ცინცინატში, რომელშიაც განმარტა თავისი პროექტი, რომლითაც ტრესტები მთავრობის კანტროლს უნდა დაუქვემდებაროს. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მხოლოდ სადამოენო ბაჟის შეცვლა ვერ გააბათილებს ტრესტების ცუდს შედეგსაო.

ის საქონელი, რომელსაც მრავალი სხვა-და-სხვა სინდიკატი ამზადებს, არავითარ სადამოენო მფარველობით არ სარგებლობს, და ამისათვის თავისუფალ ვაჭრობის შემოღება არავითარ ზიანს არ მისცემს მის ღირებულობასაო. მაგალითად მოიყვანა „Standard Oil Company“ და ანტრაციტის ამხანაგობა. მფარველობით ბაჟის გაუქმება წინ წასწევს ზოგიერთ ტრესტების საქმეებს და სრულიად გაანადგურებს წვრილ მწარმოებელთაო. აუცილებლად უნდა ვებრძოლოთ კანონის ძალით ტრესტების ცუდს გავლენასაო; თუ საჭიროება მოითხოვა, თვით კონსტიტუციაც-კი ხელახლად გადავსინჯოთო.

როგორც ეტყობა, რუზველტსა ჰსურს მიიზიროს პროტექციონისტებიც, რომელნიც რესპუბლიკანელთა დასის უმრავლესობას შეადგენენ და თანაც დემოკრატთა პატივისცემაც დაიმსახუროს, რადგან მათ ჰპირდება, ტრესტებს კანონის ძალით გამოვუცხადებ ბრძოლასაო.

ჩიკაგოში სახელმწიფო მდივანმა შოუმ სიტყვა წარმოსთქვა ამავე საკითხის შესახებ. მან განაცხადა, მაგიერობა მფარველობის მოკავშირეაო. ფიქრადაც ნურავინ გაივლებს, რომ ამერიკამ თავისი ბაზარი უცხოეთის ვაჭრობას უსასყიდლოდ დაუთმოსო. სავაჭრო უპირატესობა იმას მიეცემა, ვინც სამაგიეროდ შესაფერის სამსახურს გაგვიწევსო. სახელმწიფო მდივანმა მაგალითად მოიყვანა საფრანგეთი და სთქვა, რომ შეერთებულ შტატებს არ მიენიჭებინა მისთვის უპირატესობა ზოგიერთ წვრილმან სავაჭრო საქმეში.

ავსტრია-უნგრეთი. როგორც ვენიდგან ატყობინებენ „Central News“-ს, ავსტრიის მთავრობამაც მხარი მისცა ინგლისსა და შეერთებულ შტატებს რუმინელ ებრაელთა საკითხში. იგი წინადადებას აძლევს დიდ სახელმწიფოებს, მოსთხოვონ რუმინიას, რა მიზეზით არ მოჰყავს სისრულეში ბერლინის ტრაქტატის 44 მუხლიო.

სერბია. სერბიის სამინისტროს კრიზისის შესახებ გავრცელებული ხმები ნაადრევი გამოდგა. პარიჟის კაბინეტთან გამართულ მოლაპარაკებას სესხის შესახებ დიალაც არ ჩაუვლია უნაყოფოთ, როგორც ოპოზიცია არწმუნებდა საზოგადოებასაო. მოლაპარაკება ჯერ-ჯერობით არ შეწყვეტილა. მინისტრ-პრეზიდენტი ნიშიდგან სოფიას წავიდა; მისი მდგომარეობა სრულიადაც არაა შერყეულიო.

სხვა-და-სხვა წერილები

სამი მზირი.

(ბბ. ზდანოვიჩი, რგანელი და კიტა აბაშიძე) *).

V

გარდა იმ რეალურ სარგებლობისა, რაც ჩვენ აღვნიშნეთ 9—$9^1/_2$ პენსად ქვის გაყიდვის შედეგად, ამ გაყიდვას აქვს კიდევ სამი და ოთხი დიდი მნიშვნელობა: 1) „შავი-ქვის საზოგადოება“ ამ გაყიდვით აცნობს თავის საქონელს მსოფლიო ბაზარს, რამდენობით იკავებს მას და მით უწევს მეტოქობას ექსპორტიორებს და გარე ქვეყნების ქვას. 2) მოდის მოძრაობაში საზოგადოების ადგილობრივი მექანიზმი და ყოველი მისი წევრი ფხიზლად და მხნედ ეკიდება საქმეს. 3) მაღნებში ჩადება მუშაობა და მრეწველთ აღარ მოუვათ ის დიდი ზარალი, რაც დღეს მრავალს მოსდით მუშაობის შეჩერებით ან შემცირებით, ე. ი. აღარ დაუნესტიანდებათ და დაენგრევათ მაღაროები (ტუნელები) და აღარ გაუვათ ტყვილ-უბრალოდ ხარჯი შტეიგერზედ, თავდგმურზედ, კანტორაზედ, მაღაროს გამაგრებაზედ და სხვ. და 4) ფარავს $^0/_0{}^0/_0$-ს, რომელთაც შობს ნასესხი ფული და მასთან ქვის გაზიდვით ადგილობრივ უწევს მეტოქეობას ექსპორტიორებს. მაშინ ასეთი ერთი თუ გამოჩნდებოდა საზოგადოების წევრთაგან, რომ მიეტანათ ქვა სხვებისთვის, რასაც დღეს ჩადიან 70 და 80 კაცი. ყოველივე ამის მიხედვით საზოგადოებისთვის დიდ ინტერესს შეადგენს ქვის გაყიდვა 9—$9^1/_2$ პენსად-კი არა $8^1/_2$ პენსადაც-კი. ამიტომ იყო, რომ ერთი ჯგუფის გამოცდილი წარმომადგენელი ბ ნი ნ. ყიფშიძე გაიძახოდა 11 სეკდემბრის სხდომაზედ: —„გამაყიდინეთ ქვა და მოგვეცით ავანსად $5^1/_2$—6 კაპიკიო“. ამიტომ იყო, რომ ჩვენ გვსურდა ძლიერ საზოგადოების ქვის გაყიდვა და იმავე სხდომაზედ წარმოვსთქვით შემდეგი მანგან-სინდიკატის წინადადებაზედ:—„მიეცეს ნება მანგან-სინდიკატს გაყიდოს ქვა მაზანდაზედ ათ მილიონ ფუთამდე ამ პირველ ექვს თვეს იმ პირობით, რომ მოგება-წაგებაში იყოს სრული ამხანაგი თანახმად კონტრაქტისა და ავანსადაც მოგვეცეს იმდენი ფული, რაც საჭირო იქმნეს ქვის დასამზადებლად და ჩამოსატანად ჭიათურაში“ და სხ. (იხ. ოქმი LXXVIII). მაგრამ ყურიც არ ათხოვეს ამ ჩვენს სიტყვას. მანგან-სინდიკატს მოთხოვეს იმგვარი პირობა ქვის გაყიდვისა, რომელიც მან ვერ შეასრულა და ქვაც დღემდე დარჩა გაუყიდავი.—მკითხავენ: როდის იყო ქვის გაყიდვის კარგი მომენტებიო. კარგი მომენტები გახლდათ შარშან სეკდემბრიდგან ამა წლის მაისამდე, როცა ქვა ფასობდა 9—$9^1/_2$ პენსად და ზღვის ფრახტი დაეცა 9—10 შილინგზედ. აი ამ ხანებში უნდა გაეყიდათ ქვა, ვისაც-კი ჰქონდა ერთი ფიორი კომერციული ალღო! აი სწორედ ამ ხანებში იყო, რომ გაყიდეს ქვა ბერძნებმა, ბართლ. მოსეშვილმა, ოგანეზოვმა, ფორუდმა, შეტცმა და პანასემ; ამ უკანასკნელმა გაყიდა 15 მილიონი ფუთი *). სწორედ ამ ექსპორტიორების ქვა იგზავნება დღეს ევროპა-რუსეთში, სწორედ ესენი მოქმედებენ და იგებენ ფულს. „შავი-ქვის საზოგადოება“-კი ამ დროს ყლაპავს ბუზებს და ნაყავს წყალს უმნიშვნელო ლაყბობით, მასთან ეზიდება ჩუმად ქვას ექსპორტიორთა ბაქნებზედ და მით ამაგრებს თავიანთ მტერთ. ყოველივე ეს მოხდა, როგორც მანგან-სინდიკატის გამგეობის, აგრეთვე შავი-ქვის საზოგადოების მეთაურთა უვიცობით, უდიერობით და გამოუცდელობით, რომ მეტი არ ვსთქვათ. ვიმეორებ, საჭიროთ ის 70 მრეწველი-კი არაა, რომელნიც ჩუმად უზიდვენ ქვას გარეშე პირთ, არა, საჭიროთ ის ვაჟბატონებია, რომლებმაც თავიანთი უვიცობით და სხვა-და-სხვა მოსაზრებით შეაჩერეს საზოგადოების მოქმედება, ვერ გაყიდეს ქვა, არ მისცეს ჯგუფებს ბაქნები და მით დააყენეს მრეწველნი ცუდ გზაზედ და ჩააყენეს იმგვარ პირობაში, რომ იძულებულნი ხდებიან სხვებს მიყიდონ ქვა, რომ შიმშილით არ მოკვდნენ. სიმართლე გვაიძულებს ვსთქვათ, რომ გამგეობის მეთაური ბ-ნი ზდანოვიჩი ვერ გახლავთ დახელოვნებული მარგანეცის საქმეებში და ოპერაციებში. ამას ყველაზედ უკეთ გრძნობს თითონ. შეიძლება ბ-ნი ზდანოვიჩი ბრძანდებოდეს დიდი ტეორეტიკი და დიდი მცოდნე კაცი, მაგრამ რაც შეეხება პრაქტიკულ ნიჭს, კომერციის და მარგანეცის საქმეს, იგი ამათში სამწუხაროდ სამჩნევად გამოუცდელია და სუსტი. ამაში ღრმად დავრწმუნდით 10 თვის განმავლობაში მასთან ერთად მუშაობით და დაკვირვებით. ამ ახალ კომიტეტში და ვექილებში სამ-ოთხ კაცს თუ ესმით რიგიანად შავი-ქვის საქმე. თვით ეს შავი-ქვის საზოგადოება, მისი მიზანი და მისწრაფებანი ძლიერ კარგი და სიმპატიურია, მაგრამ მას არ ჰყავს შესაფერი მეთაურნი და მით იჩაგრება და სნეულდება მისი საქმენი. აი ეს გვაწუხებს, აი ეს გვალაპარაკებს!

დაბოლოს ბრძანებენ: „სოიუზმა“ კიდევ შარშან გაყიდა ქვაო; თუ კრედიტი გაუხსნეს, რათ შეწყვიტა ქვის მიღებაო და სხვ. ოჰ, ეს „სოიუზი“ ეგ არის ის უხილავი რიფი, ის სცილლა და ხარიბდა, რომელიც ღუპავს გემებს. ოო, ბევრი, ბევრი რამ შეიძლება ვიბაასოთ „სოიუზზედ“, მაგრამ ვშიშობთ მეტად შორს წაგვიყვანს; ეს წერილი ისედაც გაგრძელდა ჩვენდა უნებურად. ამიტომ ახლა გაკვრით ვთქვათ „სოიუზზედ“ და სხვის უფრო ვრცლად ვისაუბროთ ამ ფირმის ისტორიაზედ და ოდისეიაზედ.—„სოიუზმა“ კიდევ შარშან თებერვალში მიჰყიდა ჭირშს ბერლინში $2^1/_2$ მილიონი ფუთი ქვა $22^1/_2$ კაპეიკათ ფუთი. კომისიონერ როზენბერგის საშუალებით ავანსათაც მიიღო 25000 მანეთის შემდეგ ქვა უფრო და უფრო დაეცა ფასებში და ჩავიდა ფოთში 16—17 კაპეიკზედ. ამ რიგად ჭირში ზარალობდა ფუთზედ ექვს კაპეიკს, ანუ სულ 150.000 მანეთს. (რა მიზეზით იყიდა გამოცდილმა ჭირშმა „სოიუზიდან“ ქვა $23^1/_2$ კაპეიკში, იმ დროს, როცა ფოთში ფასობდა 19—20 კაპეიკს, ამაზედ აქ არას ვიტყვი, ეს გრძელი საინტერესო ისტორიაა). ჭირშმა რამდენჯერმე სთხოვა „სოიუზს“ ფასის დაკლება; „სოიუზი“ უარობდა და ბოლოს დაუკლო მხოლოდ $^1/_2$ თუ ერთი კაპეიკი. ჭირშისთვის ეს დაკლება არ იყო დიდათ სანუგეშო. ამაზედ მიწერ-მოწერა ბ. ზდანოვიჩს ართმევდა საკმაო დროს. როცა ბ-ნი ზდანოვიჩი წაბრძანდა შარშან ნოემბერს ბერლინში, პირადათ ნახა ჭირში, მაგრამ მან არ მიიღო „სოიუზის“ პირობა, რითაც დიდ ფულს ზარალობდა იგი. ამას მოყვა შედეგად ის, რომ ჭირშს არ გადასცეს ჭიათურის მრეწველთა (შემდეგ შავი-ქვის საზოგადოების) კონტრაქტი, რაც მეტად ჰსურდა თითონ ჭირშს. ამრიგად ბ-ნმა ზდანოვიჩმა მოაშორა საქმეს ეს დიდათ ცნობილი და მეტალურგიის საქმეში დახელოვნებული ფირმა, ადგენ და მრეწველთა სახელით კონტრაქტი შეუკრა მანგან-სინდიკატის გამოუცდელ და შავი-ქვის საქმეთა უვიცს წევრთ. ჭირშმა ირჩია 25,000 მანეთის დაკარგვა, რომელიც «სოიუზმა» მიიღო ავანსად. როზენბერგმა-კი გამოიწვია ჭირში სამედიატორო სამსჯავროში.

ამ დროს ქუთაისში ჩამობრძანდა ბ-ნი ზდანოვიჩი და შეუდგქით საქმეს. ეს იყო ამა წლის იანვარ-თებერვალში. ამ დროს ვექილთ უნდა მოეწერათ ხელი შავი-ქვის საზოგადოების პირობაზედ, მაგრამ ამ საზოგადოებაში სურდა შემოსვლა „სოიუზს“, მას მისცეს კიდევ წინეთ წლიურად ოთხი მილიონი ფუთის ვალდებულება და ამ რიგად ის იღებდა ავანსათ კიდევ 20,000 მანეთს. ეს ფული უნდოდა „სოიუზს“. სოიუზის გაშლილი მადა ამით არ ისაზღვრებოდა. მას ჰსურდა, რომ ახლა მანგან-სინდიკატს მიეღო 23 კაპეიკში ის $2^1/_2$ მილიონი ფუთი, ჭირშზედ გაყიდული. ეს მეტად დიდი სურვილი იყო, მაგრამ არა შეუძლებელი. „სოიუზი“ მაგრად ჰგრძნობდა თავს, რადგან დამხმარედ ჰყავდა მისთვის ერთგული და თავდადებული, თავის ძველი ნავექილარი და ნაამგდარი ბ-ნი ზდანოვიჩი. შეიქმნა დეპეშების ფრენა ბერლინსა და ქუთაისში. გააჩერეს აქ ერთი თვე ხალხი, არ დაურიგეს ფული და არ შეადგინეს იურიდიულად შავი-ქვის საზოგადოება მანამ, სანამ არ მიაღებინეს მანგან-სინდიკატს 23 კაპეიკში „სოიუზის“ $2^1/_2$ მილიონი ფუთი ქვა. მანგან-სინტიკატი ჯერ ცოვს უარზედ იდგა, მაგრამ მათი 200,000 მანეთი ხელში ეკავა ბ-ნ ზდანოვიჩს და თავს გულადათ გრძნობდა. აქედან წერდა დეპეშით ეს „დიდებული მოღვაწე“ კომისიის და ვექილთა სახელით, რომ მრეწველები არ ადგენენ საზოგადოებას, არ ჰსურთ თქვენთან საქმის დაკავება თუ „სოიუზი“ არ შამოვიდა ამ საერთო საქმეშიო. „სოიუზი“-კი ისე არ შემოდის თუ ეს $2^1/_2$ მილიონი ფუთი ქვა არ მიიღეთ 23 კაპეიკშიო. ამ რიგად ამ ვაჟბატონებმა მშვენივრად ისარგებლეს მრეწველობით, თვით მანგან-სინდიკატი ჩააყენეს ისეთ საშინელ მდგომარეობაში, რომ volens-nolens აიძულეს „სოიუზის“ $2^1/_2$ მილიონი ფუთის მიღება 23 კაპეიკში. ამ რიგად ეს კონტრაგენტი შეიყვანეს 80—100,000 მანეთის აშკარა ზარალში და ამ ფულით ისარგებლა მარტო „სოიუზმა“.

აი, ამ ბ-ნ ზდანოვიჩის საქციელს, ამ მიწერ-მოწერას იყო, რომ ვეწინააღმდეგებოდით სასტიკად. ვმზერდით, თუ რა სამწუხარო შედეგი მოჰყვებოდა ამ ძალ-დატანებას; ვამჩნევდით, რომ იმ დიდ ზარალს მანგან-სინდიკატი, კანონიერად თუ უკანონოთ, (გემების დაფრახტის დროს ან ქვის გაყიდვით და ნიმუშის აღებით), აიღებდა თვით შავი-ქვის საზოგადოებიდან, ე. ი. იმ 184 წვრილ მრეწველებიდან. ამიტომ იყო, რომ ერთ სხდომაზედ „სოიუზის“ ერთმა წევრმა დაგვიძახა: „სიმონ ქვარიანო, შენ გინდა, რომ „სოიუზი“ არ იყოს ამ საქმეშიო!“ პასუხად მოვახსენეთ: „ჩემთვის სულ ერთია, „სოიუზი“ იქნება თუ არა ამ საქმეში, ხოლო არ მსურს, რომ მანგან-სინდიკატმა ძალად მიიღოს ეგ თქვენი ცალკე პირობა და მით ეზარალოს მთელის შავი-ქვის საზოგადოებასა-თქო; არ მსურს, რომ ორასი მრეწველი ემსხვერპლოს ოთხ კაცსათქო. („სოიუზი“ შესდგება 4 კაცისგან.) აი ამის შემდეგ უფრო შევძულდით ბ. ზდანოვიჩს და „სოიუზს“. თებერვალში, ამა წელს და არა შარშან, მანგან-სინდიკატმა ყოველი ღონე მიიღო, რომ გაეყიდა როგორმე ეს ძალად მიღებული „სოიუზის“ ქვა და გაყიდა კიდეც (რა ფასში ჩვენ არ ვიცით), ხოლო სამი დიდი გემი წაიღეს კიდეც და ახლად იტვირთება ფოთში ერთი დიდი გემი *) „სოიუზს“ გაუხსნეს კიდევ ცალკე კრედიტი. იგი თავის ბაქანზედ ყიდულობს საუკეთესო ქვას და მით სურს მონათლოს თავის წინანდელი მარგანეცი. იგი ხან შეაჩერებს მიღებას, ხან აფართოვებს, ეს მაზანდაზედაა დამოკიდებული. „სოიუზს“ კიტა აბაშიძე ვერ ასწავლის ჭკუას და მოხერხებას. ამ წუთას დასცეს ჭიათურა-ჭიქაურაში შავი ქვის მაზანდა და სწორეთ ახლა აქვ „სოიუზს“ გახურებული მიღება. მეთევზემ იცის, სად ისროლოს ბადე და როდის ითევზაოს.

ს. ქვარიანი.

თეატრი და ხელოვნება

რაჭა. 25-ს აგვისტოს სოფელს სხვავში ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან იყო წარმოდგენილი ორი პიესა ცაგარლისა: „დატრიალდა ჯარა“ და „ადვოკატი მელაძე“. ხალხი ბლომად დაესწრო. უადგილობისა გამო, ნახევარზე მეტი ფეხზედ იდგა; ბევრნი ბილეთებს ველარ შოულობდნენ და გულ-დაწყვეტილნი გარედგან ყურს უგდებდნენ მაყურებელთა გამხიარულებულ ტაშის ცემას. წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ: სტუდენტი ს. გ. ტოროშელიძე, სონა ლანდია, როქსანა ტოროშელიძე და კატო ხეიძე, ბ. ი. ს. ბაქრაძე, ვ. გოცირიძე, ვლ. ს. გოგნაძე და პეტრე ი. დავლიანიძე. ზემოხსენებულ ქალების საუცხოვო თამაშმა გააკვირვა მთელი საზოგადოება; მათი მკაფიო ხმა, გაბედული გამომეტყველება და მოხდენილი თამაში მოაგონებდა კაცს დიდი ხნის გამოცდილ მსახიობებს. კარგათ ითამაშეს დანარჩენებმაც. ბ-ნ ტოროშელიძემ ძრიელ მოაწონა თავი საზოგადოებას სერგოს როლში და სოსიას როლში. წარმოდგენის ბოლოს იქმნა წაკითხული ლექსები და ითქვა რამდენიმე სცენა. ბევრი აცინა საზოგადოება ს. ტოროშელიძემ იმერულის და კინტოს სცენების მოხდენილი კითხვით. ბილეთები იყო ძლიერ იაფ-ფასიანი. სრული შემოსავალი, ხარჯს გარდა, გარდაეცა ადგილობრივ მღვდელს გრიგოლ მეტრეველს მომავალ სამკითხველოს სასარგებლოდ.

30-ს აგვისტოს ამ სოფელს, სხვათა-შორის, ესტუმრა მაგიკური წარმოდგენებით „ზაქარ კოხტიევი“ და განცხადებები დაურიგა ხალხს. ზოგიერთმა ამ სოფლის პირებმა, რომელნიც სხვა-დასხა მიზეზებისა გამო პირველად ცნობილ სცენის მოყვარულთ გულცივად უყურებდნენ, კოხტიევს შეწევნა აღმოუჩინეს. ხალხში ავრცელებდნენ ხმას: წინანდელი წარმოდგენა რა იყო? წარმოდგენაც ეს არის და სანახავებიც აქ არისო: ნემსებს ათასობით ვადაყლაპავენ და არას ავნებს, თოფს გატენილს ესვრიან თავიანთ თავს და არ მოჰკლავსთო და სხვ. მაგრამ მათ და სამწუხაროდ მაგიკ:ერ წარმოდგენას მცირე ხალხი დაესწრო.

სხვაველი.

წერილები

რედაქციის მიმართ

I

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის „ივერიის“ საშუალებით გამოვუცხადო მადლობა იმათ, რომელთაც შემოსწირეს ეკატერინენფელდის ეკკლესიის ასაშენებლად. სია შემომწირველთა: სოფიო ბუთხუზოვისამ, სოფიო კობახიძისამ, წყალობა შოშიევმა, ძეგველოვმა, ჯმუხაძემ, გ. დიზაროვმა და B. P.—თითო მანეთი; გრიგოლ დემუროვმა, ალექსი ქიშმიშოვმა, ბიბილურმა, არტემ შაროევმა, მიხეილ კასრაძემ, დარჩო მდივანოვმა, სტეფანე იარაგულოვ, ალექსანდრე მაჩვალოვმა, ვანო ვაჩნაძემ და ალექსანდრე კიკნაძემ ათ-ათი შაური; №№ 40 კაპ., ვასილ რაზმაძემ 30 კაპ., სულინოვმა, კარქუამ, იაკობ გიგაევმა, იაკორ დადაქოვმა, სერგეი ოგანეზოვმა, ია ლაშქაროვმა, არტემ სარქისოვმა და სოლ. ჩაჩანიძემ—ხუთ-ხუთი შაური; უცნობმა 10 კაპ. სულ 15 მ. 60 კაპ. *).

სოფიო ბუთხუზოვისა.

II

როგორც ჩემის, ისე ჩემდა რწმუნებულ ნოჯიხევის (ხობის) ორ-კლასიან სკოლის მოწაფეების მხრივ უგულითადესს მადლობას ვუძღვნი ქუთაისის 1-ლ ნაწილის ბოქაულს ბ-ნ ჩანთა კოსთავას, რომელმაც შემოსწირა სკოლის ბიბლიოთეკას ასოც ცალზე მეტი სხვა-და-სხვა წიგნი, დაახლოვებით სამ თუმნად ღირებული.

ზედამხედველი სკოლისა ვ. გაგუა.

„ივერიის“ ფოსტა:

გუდაუთი, მ. დ—ძეს. თქვენი წერილი არ იბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

16 სეკდემბერი

სიმბირსკი. მებაღეობის, ხილეულობის, ბოსტნეულობისა და თესლეულობის გამოფენას დიდი წარმატება აქვს. ბევრს ექსპონანტებს საპატიო ჯილდო მიესაჯა.

სარატოვი. სახაზინო პალატაში დაიწყო კრება გარდასახადთა ინსპექტორებისა. ფინანსთა სამინისტრომ მისწერა განიხილეთ კანონი შესახებ სამრეწველო გარდასახადებისაო.

ვაშინგტონი. პრეზიდენტის რუზველტის მდივანმა გამოაცხადა, რომ ნიუ-იორკის მკურნალის შაფერის თანადასწრებით შესდგა კონსილიუმი პრეზიდენტის ექიმებისაო. ტკივილებისა და სიცხის მომატების გამო საჭიროდ შეიქმნა გაჭრა ხორცისა ძვლებამდე. ექიმები დარწმუნებულნი არიან, რომ პრეზიდენტი განიკურნება. ოპერაცია გაუკეთა მკურნალმა რიკსეიმ.

პარიჟი. ზოლა დილით გარდაიცვალა. მისი მეუღლე მძიმედ არის ავად.

ეკატერინოსლავი. გუშინ დიდის ამბით აკურთხეს რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელი.

ვილნო. „ვილენსკი ვესტნიკი“ იუწყება, რომ ეკატერინე II-ს ძეგლის კურთხევამ დაიგვიანა გარდაცვალების გამო ანტოკოლსკისა, რომელიც ამ ანდალმს ამზადებდაო. ძეგლის კურთხევა გადაიდო სამერმისოდ.

კონსტანტინოპოლი. რუსის ხომალდი „კუბანეც“ საღამოს წავიდა ბურღასს, ოთხშაბათს დაბრუნდება და მოიყვანს დიდს მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოოზის ძეს, რომელიც ინახულებს სულთანს.

რიაზანი. გუბერნატორმა ბრიანჩინინოვმა მიჰმართა სამის გზის მმართველობით, რომ მისცენ სამუშაო სეტყვისაგან დაზარალებულ გლეხებს.

პეტერბურგი. 16-ს სეკდემბერს გარდაიც-

ნიაღვრები გამოიწვია და გამანადგურებელ წყალ-დიდობას სათავედ გაუხდა. სითბო-სიცივემ თანაბრობა დაკარგა. ზამთარი უფრო ცივი, სუსხიანი გახდა. ზაფხული-კი აუტანელ სიცხე-პაპანაქებიანი შეიქმნა. რა თქმა უნდა, ეს უნუგეშო მოვლენანი დღით-დღე პროგრესიულად იმატებს, რადგანაც ტყეები, თუ სადმე აქა-იქ დარჩა, პროგრესიულადვე იჩეხება. ამიტომ წლევანდელი წყალ-დიდობა გაფრთხილებად უნდა მივიღოთ და, უკეთუ გონს არ მოვედით და ჭკუა არ ვისწავლეთ, მომავალში უარესებს უნდა მოველოდეთ. რომ ვინმემ ჩემი სიტყვები გადაჭარბებულად არ მიიღოს, საკუთარის თვალით უნდა ნახოს, თუ მთებზე როგორ ადგილას და რა პირობებში ყანობენ. წარმოიდგინეთ მდინარისაკენ დაქანებული, თითქმის კედელსავით აყუდებული ციცაბო, სადაც საბრალო მუშამ თოხნა-თესვის დროს ფეხის დასაბიჯი კიბეებიც უნდა აკეთოს და სიმინდის მარცვლისათვის კიდევ სათითაოდ უნდა მოარღვიოს ნიადაგი. ასეთ ადგილებს, როცა მეტი გზა და საშუალება არ არის, თითქმის გამუდმებით ყანობენ, მიწას დასვენება აღარა აქვს, ნიადაგი ყოველთვის ანაოშებულია და ამიტომაცაა, რომ აქ, არა თუ ძლიერი სეტყვა-ქარიშხალი, არამედ სუსტი წვიმაც ნიაღვარსა და ზვავს აჩენს. ერთიცა და მეორეც მდინარეში მიეშურება, მდინარეს ადიდებს და ეს უკანასკნელი სხვა ზარალთან ერთად ვაკე ადგილების ყანებსაც აოხრებს. ამ ნაირად სათავე ჩვენის უბედურებისა, როგორც შემეძლო, მოგახსენეთ.

ახლა ორიოდე სიტყვა იმის შესახებაც ვსთქვათ, თუ რა წამალი, რა საშუალება მიუდგება ამ ჩვენ სატკივარს. დედამიწა რა სიდიდისა და სივრცისაც გამჩენმა გააჩინა, ისეთივე რჩება. იმის გაზრდა ან გაფართოვება, რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია. დაგვრჩენია ერთად-ერთი საშუალება და ეს არის სამეურნეო ცოდნის პრაქტიკულად გავრცელება ხალხში, რომ პატარა ადგილმა დიდი მოსავალი მოგვცეს და ტყეების განადგურება აღარ დაგვჭირდეს.

ლანჩხუთელებმა რომ სამოქალაქო სასწავლებელი დაიარსეს, იმათის ბაძით იყო თუ შურით, ჩოხატაურელები და ხიდისთაველებიც ახმაურდნენ, ჩვენც ასეთივე სასწავლებელი გვინდაო. არავინ სამეურნეო სასწავლებლის შესახებ კრინტი არ დასძრა მაშინ, როდესაც ასეთი სასწავლებელი სწორედ გურიის ამ ნაწილს ესაჭიროება. მთელი საჯავახო და საერისთავო ანუ ახლანდელი ზემო-ხეთის, ნაწეიშვილისეულის, ფარცხმის, სურების, ერკეთის, ჯვარცმის, ამაღლების და ბასილეთის საზოგადოება შედარებით უფრო შეწუხებულია ადგილის სივიწროვით. უმეტეს ნაწილად ამ ადგილების მკვიდრნი არიან იძულებულნი, რომ მთებში იყანონ, ზვავები გააჩინონ და მით ქვეყნის გამანადგურებელი პირობები შეჰქმნან. უკეთუ მათ შორის სამეურნეო ცოდნა იყოს გავრცელებული, ეს არც ერთი არ მოხდებოდა. სამეურნეო ცოდნა ადგილის სივიწროვეს აანაზღაურებდა, მთაც მშვიდობით იქნებოდა და ბარიც. მაგრამ სად არის მადლიანი მეთაური, რომ ამ საქმის განხორციელება ითავოს და მკვიდრთა საერთო სურვილი სამოქალაქო სასწავლებლის დაარსებისა სამეურნეო სკოლის დაარსების სასარგებლოდ გარდაქმნას!

კნინი.

---

*) იხ. „ივერია“ № 194.

*) ეს წერილი დამთავრებული გვქონდა, რომ გავიგე კაკაბაძეებს, თ. პ. წულუკიძეს და ჩუბინიძეს გაუყიდიათ ევროპაში ქვაო. ავტორი.

*) ახლა ეს გემი წასულა კიდეც. ავტ.

*) ზემოხსენებული ფული მიიღო რედაქციამ და ფოსტის ხარჯს გარდა (15 კაპ.) გაეგზავნა ბორჩალოში ეკატერინენფელდის ეკკლესიის ამშენებელ კომიტეტს.

ვალა უმთავრეს საზღვაო სამსჯავროს წევრი გენერალ-ლეიტენანტი ლინდენი.

ვერჟბოლოვო. გუშინ ვერჟბოლოვოს საჟანდარმო განყოფილების უფროსი როტმისტრი მიასოედოვი მიიწვია გერმანიის იმპერატორმა წირვაზედ რომინტენის ტაძარში და მერმე უმაღლესს სუფრაზედ. მოწყალე დახვედრის შემდეგ იმპერატორმა გადასცა სურათი თავის ხელ-მოწერით.

შეიპოვო. ტაძრის კურთხევის შემდეგ იყო აღლუმი მხცოვან მეომართა. საერთო სადილზედ მთავარმა ფერდინანდმა თავის სიტყვაში მოიხსენია, რომ შიპკა იყო მოწმე ბრძოლათა საშიშროებისა, რომლის შემდეგ აღმობრწყინდა მზე მშვიდობისა. რუსეთმა მოინდომა დახოცილ გმირების სახსოვრის საშვილიშვილოდ გარდასაცემად ტაძრის აგება. მოძრაობის მოთავეობა იკისრა იმპერატორმა და მას მიჰყვა მთელის რუსეთის ერი. ამ სახით მომავალ თაობათათვის აგებულ იქმნა ძეგლი დიდთა შეწირულებათა, რუსეთის მიერ მორთმეულთა. ტაძრის ზარები ბალკანეთის ორისავე მხარეს აუწყებენ ქრისტიანებრივს სიყვარულს და თავდადებას მოძმე ერისას. ვედრება მართლ-მადიდებელ სლავიანთა არასდროს არა რჩებოდა ამაოდ. დღევანდელი დღე სადღესასწაულო გაერთიანებაა ორისავე ერისა. მთავარმა სთქვა, მიხარიან, რომ აქა ბძანდება შვილი რუსეთის გენერალისიმუსისა და მადლობა გადაუხადა დიდს მთავარს ბოლგარიის ერისა და მხედრობის სახელით ამას წინად იმპერატორის მიერ გამოთქმულ კეთილის სიტყვისათვის.

ლონდონი. „Standard“-ის ცნობით, რომელიც ტიანძინიდან მიუღია, შანჰაიგუან-ნუჩუანის რკინის გზა გადაცემულ იქმნა 13-ს (26) სეკდემბერს.

ტიანძინი. ინგლისის ელჩმა მიიღო ბრძანება, დაუყოვნებლივ გადაეცი პეკინ-შანჰაიგუანის რკინის გზაო. ტიანძინი გადაცემულ იქნება 16 (29) სეკდემბერს.

მოსკოვი. ექიმის ბელოგოლოვის ქვრივმა უანდერძა 40,000 მ. ციმბირის სწავლა-განათლების საჭიროებათათვის.

პარიჟი. ზოლას სიკვდილის გარემოება დიდის სიბნელით არის მოცული: შესაძლოა ვიფიქროთ, რომ თვითონ მოიკლა თავი. ზოლა მეუღლით ის იყო დაბრუნდა აგარაკიდან თავის სახლში ბრიუსელის ქუჩაზედ. ზოლამ უბძანა დაენთოთ ცეცხლი საწოლ ოთახის ბუხარში; მსახურმა ვერ მოახერხა ბუხრის გახურება; ბუხარში, როგორც ეტყობოდა, საკმაოდ არ მუშაობდა ჰაერი. ესე საათის 10-ზე ზოლა და მისი ცოლი დაწვნენ დასაძინებლად. დილაზედ ათის ნახევარი იქნებოდა, კარები დაურაკუნეს. პასუხი ვერა მიიღეს-რა და გამოამტვრიევს კარები; ოთახიდან გამოვარდა სულის შემხუთავი ნახშირ-ბული. ზოლა ნახევრად გადმოვარდნილი იყო საწოლიდან, თავი და მხრები ხალიჩაზედ ედო, ფეხები-კი საწოლის პირზედ. ეტყობოდა, სცდილა ადგომას ფანჯრის გამოსაღებად. ზოლას მეუღლე მკვდარივით იწვა ლოგინში. მკურნალებმა მოახერხეს და მხოლოდ ზოლას მეუღლე მოიყვანეს გრძნობაში. მალე მოვიდა კომისარი და წიილო გამოსაკვლევად მცირე რამ განავლისა. კომისარი ამბობს, გაუგებარია, როგორ უნდა შეჰგუბებოდა სული ადამიანს ნახშირის სუნისაგან, როდესაც ბუხარში ჰაერის მუშაობა გამუდმებული იყო; კომისარმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ოთახში მყოფი ძაღლები უვნებლად გადარჩენილან. შუადღისას ზოლას მეუღლე მოვიდა გონს, მაგრამ ჯერ კიდევ არ შეუძლიან ჩვენების მიცემა.

ტომსკი. დღეს ფინანსთა მინისტრი მოვიდა აქ და საღამოს 8 საათზედ ისევ გაემართა გზად.

17 სეკდემბერი.

პეტერბურგი. დაინიშნენ: ვილნოს გუბერნატორი გენ.-ლეიტენანტი ფონ-ვალი შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად და ჟანდარმთა კერძო კორპუსის უფროსად; ფინლანდიის პირველ მსროლელთა ბრიგადის უფროსი გენ.-მაიორი ოლხოვსკი—ფინლანდიის მხედრო ოლქის შტაბის უფროსად,—შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი და ჟანდარმთა კერძო კორპუსის უფროსი გენ.-ლეიტენანტი თავადი სვიტოპოლკ-მირსკი—ვილნოს, კოვნოს და გროდნოს გენ.-გუბერნატორად; —ხოლერა სრულიად მოისპო ხაბაროვსკასა და ბლაგოვესჩენსკში, და მეტად შემცირდა პორტ-არტურში, სადაც 2-დგან 7 სეკდემბრამდე 15 შემთხვევა იყო ავად-გახდომისა. ვლადივოსტოკსა, ნიკოლაევსა, ნიკოლსკ-უსურიისკსა და დალნიში ჯერ კიდევ არის ეს სენი, მაგრამ თანდათან ეტყობა შემცირება; ყველა ზემოხსენებულ ქალაქებში სეკდემბრის 2-დგან 8-მდე 74 კაცი გახდა ავად წინაალმდეგ წინა კვირისა, როდესაც 102 შემთხვევა იყო ხოლერით ავად გახდომისა. ამ ქალაქებს გარდა უკანასკნელ ხანებში სხვაგან არავინ გამხდარა ავად. სეკდემბრის პირველიდგან მანჯურიაშიც შესამჩნევად მოირილდა ეს სენი: მთელ იმ მანძილზედ, რომელზედ ჩინეთის აღმოსავლეთ რკინის გზა მიჰყვება აგვისტოს 29-დგან სეკდემბრის 5-ამდე მხოლოდ 29 შემთხვევა იყო. ოდესაში სეკდემბრის 6-დგან 16-მდე 8 საეჭვო შემთხვევა იყო შავის ჭირით ავად გახდომისა, რომელთა შორის 4 უკვე გარდაიცვალა. სულ მაისის 28-დგან 35 შემთხვევა იყო, რომელთაგანაც 13 გარდაიცვალა. ყველა ეს შემთხვევანი ხელ მოკლე ხალხში მოხდა, უმეტეს ნაწილად ებრაელებში.

ბაქო. ნოვოგოლოვკაში ღამის გათევის შემდეგ შაჰი ლენქორანს გაემგზავრა.

ლენქორანი. მობრძანდა შაჰი ხმელეთით აჯი-ქაბულის გზით და სეკდემბრის 16-ს ან 17-ს იგი ასტარს წავა.

ვენა. კნეინა ჰოგენბურგი, ერცჰერცოგ ფერდინანდის მეუღლე, სექტემბრის 16-ს საღამოთი განთავისუფლდა და ვაჟი შეეძინა; დედა და ახალ-დაბადებული კარგად არიან.

ბელგრადი. რადგან მაკედონიადგან საშიში ამბები მოდის, აქ მცხოვრებ მაკედონელთა სექტემბრის 20-სათვის ყრილობა დანიშნეს, რომელზედაც თათბირი ექმნებათ მაკედონიაში მცხოვრებ სერბთა მდგომარეობის შესახებ.

პარიჟი. გამოძიებამ სრულიად უარ-ჰყო ის ეჭვი, ვითომც ზოლამ თავისით მოიკლა თავიო,—მისი სიკვდილი—უბედური შემთხვევააო. გამოძიება მაინც კიდევ სწარმოებს. ქ-ნს ზოლას ჯერ კიდევ არ შეუძლია ჩვენების მიცემა. ხელზედ მსახური ირწმუნება, რომ ორივ ცოლ-ქმარი გუშინ მეტად მხიარულად იყვნენო. ზოლა სჩიოდა ბუხრის უვარგისობას, რომელიც დღეს უნდა შეეკეთებინათ. რადგან იატაკზედ უფრო იყო დაშდგარი სულის შემხუთავი ბული, ვიდრე მაღლა, ამისათვის ზოლას სიკვდილი მით აიხსნება, რომ იგი ლოგინიდგან გადმოვარდნილა.

პეტერბურგის ბირჟა, 10 სეკდემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინში 100 მარკაში	45,97½
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში „	46,25
პარიჟში „	37,57½
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97⅞ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	98¾ გაყ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	467 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	357½ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	291½ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	82⅜ წვ. გაყ.
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89⅜
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები „ „ „	350 წვ. გაყ.
„ კასპიის ამხანაგობისა	—
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	—
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	165 წვ. გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სასამართლო პალატის 1-ლ დეპარტამენტში 21 სეკდემბრისათვის დანიშნულია შემდეგ საქმეთა განხილვა:

1. პავლე გვარამიასა და რომან მახარაძეს საკასსაციო საჩივარი 300 მან. ჯარიმაზედ.
2. აზნაურის, მილიციის ობერ-ოფიცრის სტეფან შავარდნაძის და სამსონ ჩიქოვანის დავა 19 მანეთ ვალის პროცენტზედ.
3. პეტრე და მაქსიმე გურცკაიათა და თომა გაგცასა და მართა ანჯაფარიძის დავა 1,560 მან.
4. ოლგა და გრიგოლ გოგოლაძეების საჩივარი ტფილის-ყარსის რკინის გზის მმართველობაზედ 472 მან. 62 კ. შესახებ.
5. თ-დ ვარდებულ, ანტონ და სხვ. აფაქიძეებისა და ბესარიონ და სხ. დადიანების მამულებზედ დავა.
6. ბაკო გარუჩავას და კიკა პონიას ს. ზუგდიდში მიწის ნაწილზედ დავა.
7. დავით და ტატო გოგიაშვილებისა და თარგელ სრესულის დავა 20 მ.

საკასაციო საჩივარი ივანე შანავაძისა, რომელსაც მაჰმად რიზა ოღლი ედავება 43 მან. 40 კაპ. კირისათვის.

განცხადება

ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აუწყებს ბბ-ნთ ამომრჩეველთ, რომ ჩვენ მიერ გამოცხადებულ ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კანდიდატების სიაში, სტამბის შეცდომის გამო, გამოტოვებულია კანდიდატი მესამე საარჩევნო რაიონისა **მესხიაშვილი**, სოლომონ სტეფანეს ძე, რომელიც ხმოსნად იქმნა დასახელებული 40 ამომრჩევლისაგან, ხოლო პირველ საარჩევანო რაიონის კანდიდატის ივანე ალექსის ძის შადინოვის ხმათა რაოდენობა შეცდომით მოხსენებულია 57 იმის მაგიერ რომ იყოს 77 ხმა.

(1—6.—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

იუწყება საყოველთაოდ საცნობლად, რომ 2 ოკდომბერს 1902 წლისას, ნაშუადღევის 1 საათზედ, მის თანადასწრებით იქნება ხელმეორედ ვაჭრობა, 1 სეკდემბერს არ შემდგარის მაგიერ, რომელზედაც იჯარით გაიცემა ნავთის საწარმოებლად ქალაქ ტფილისის კუთვნილ ოთხ სანავთო ნაჭერში ერთი ნაჭერი, რომელიც იმყოფება „ნავთის ჰალაში“, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირად, ქალაქიდგან 12 ვერსის მანძილზედ, ზომით ორი დესეტინა და 1044 ოთხ-კუთ. საჟენი, იმ საზღვართა შორის, რომელნიც აღნიშნულია ქალაქის მიწის-მზომელის მიერ შედგენილს გეგმაზედ, რაიცა თვით პირობებსა აქვს ზედდართული.

ეგ ნავთიანი მიწის ნაჭერი იძლევა იჯარით ამოღებულის ნავთის საწილადოთ ქალაქ ტფილისისათვის და ამ წილის რაოდენობა იქნება საგნად ცილობისა ვაჭრობაზედ. ვისაც დარჩება ამ ვაჭრობაზედ ნავთიანი ნაჭერი, ნება აქვს, რომელიც უნდა, ის ნაჭერი აირჩიოს ზემოხსენებულ ოთხ ნაჭერში. ვაჭრობის დაწყებამდე, თითოეულმა ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა შემოიტანოს ბეთ ნაღდ ფულად ანუ %-ან ქაღალდებათ 2,000 მანეთი. ვაჭრობა მოხდება, როგორც სიტყვიერად, ისე დაბეჭდილ განცხადებათა შემწეობით, ხოლო ამ უკანასკნელს შემთხვევაში დაბეჭდილ კონვერტში უნდა იყოს: ა) ბეი 2,000 მან. ნაღდ ფულად ან სახელმწიფო ან საიპოტეკო (გირავნობის ფურცლები და ობლიგაციები) %-იან ქაღალდებად ზედ-წარწერილ ფასის ანგარიშით; ბ) სახელი, მამის სახელი და გვარი იჯარის აღების მსურველისა და მისი ადრესი; გ) სიტყვებით დაწერილი უნდა იყოს, რა წილს აძლევს ქალაქს ამოღებულის ნავთისას.

არავითარი გარეშე კომბინაციები, ზედდართული შემოძლეულს ფასზედ კონდიციებში წინადვე საჭიროდ არ დანახული, მხედველობაში არ იქმნება მიღებული.

დაბეჭდილი პაკეტები უნდა წარედგინოს გამგეობას ნაშუადღევის 1 საათზედ, არა უგვიანეს იმ დღისა, რა დღესაც დანიშნულია ვაჭრობა. განცხადებას, ჩადებულსა დ დაბეჭდილს კონვერტში, თუ ზემოხსენებული პირობანი არ იქნება დაცული, სრულიად არ განიხილავს გამგეობა. პირობათა შეტყობა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში, მის მე-4 განყოფილებაში, ყოველ დღე, როცა-კი სამსახურია, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. ვისაც ჰსურს, შეიძლება ფოსტით გაეგზავნოს პირობანი.

(3—6.—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ტფილისის ქალაქის გამგეობა მოიწვევს მსურველთ, რომელთაც უნდათ თავიანთი მამული დაუთმონ საზამთროთ საბალახოდ ქალაქის საქონლის გამოსაკვებად. საქონელი იქნება სულ 600 სულამდე და გამოკვება დასჭირდება ყოველ-წლივ 1 ოქტომბრიდგან 1 მარტამდე.

იჯარით ასაღები მამული უნდა იყოს ტფილისიდგან ერთის ფოსტის მანძილზედ. იჯარით ასაღებ მამულზედ უნდა შეიძლებოდეს კვება საქონლისა ახალის ბალახითაცა და თივითაც, ამიტომ მამულში უნდა იყოს საძოვრები არა ნაკლებ 500 დესეტინისა. თივაც უნდა იყოს დამზადებული არა ნაკლებ 30,000 ფუთისა. წყალი საქონლის სასმელად უხვად უნდა იყოს და არც შორს იმ ადგილიდგან, საცა საქონელს ბინა ექმნება. ვადა იჯარისა უნდა იყოს არა ნაკლებ სამის წლისა და თან უფლება უნდა ჰქონდეს ქალაქს განაახლოს იჯარა წინანდელის პირობითა. საბალახოსათვის ფასი დესეტინობით უნდა გამოირკვეს, ხოლო თივისათვის—ფუთობით. თუ ვინიცობაა ქალაქი მოინდომებს ააშენოს მამულში ბოსლები საქონლისათვის, მამულის პატრონმაც უნდა მიიღოს აშენების ხარჯში მონაწილეობა რაოდენადმე (არა ნაკლებ 600—700 მან. უნდა დაჰხარჯოს), იმ პირობით, რომ, როცა იჯარის ვადა გათავდება, ბოსლები მამულის პატრონს დარჩება საკუთრებად.

მსურველმა ქაღალდი უნდა გამოგზავნოს ფოსტით, ან პირდაპირ მოიტანოს ტფილისის ქალაქის გამგეობაში არა გვიან ამა წლის 18 სეკდემბრისა ქალაქის ხორცის დუქნების მომწესრიგებელ კომისიის თავმჯდომარის სახელობაზედ.

(3—6.—3)

გუმმი-პეპსინი

(Gummi- Pepsin)

პროვიზორის ი. ი. პოგოსსკისა.

სადეჭი კამფეტი პეტნა-ნარევი საჭმელის მოსანელებელი და დიდი, მარგებელი იმათთვის, ვისაც კუჭის ავადმყოფობა (катаръ) სჭირს. აგრეთვე ამცირებს თამბაქოს წევის სურვილს და უკარგავს პირში გლახა სუნს. 5-ი პრტყელი კამფეტი, წონით 15 გრამი, ღირს 20 კაპ. იყიდება ყველა აფთიაქებში და აფთიაქის მაღაზიებში.

(8—6.—8)

ქირავდება

იაფად 4 ოთახი ყოველგვარ მოწყობილობით თითქმის შუაგულ ქალაქში, ეგზარხოსის მოედანზედ, სახლი თავ. შერვაშიძისა, № 14.

ქ. გორში

სამეფო ქუჩაზედ, არჩუაძის და მაისურაძის წიგნის მაღაზიაში ისყიდება, დაკლებულ ფასად, შეგირდებისათვის ყოველ გვარი სახელმძღვანელო წიგნი.

(30—6.—28)

საუკეთესო ხმელის ხისაგან მკვიდრათ გაკეთებული

ისყიდება

მთელის მზითვის ახალი ავეჯი თეთრის ხისა (ბერიოზისა), სულ რვა ნაჭერი **შეღავათიანის პირობით.**

აქვე ისყიდება ორი ბუფეტის შკაფი.

ადრესი: ლაბორატორიის ვიწრო ქუჩა, სამხატვრო სასწავლებლის გვერდზედ, სადურგლო ქარხანა.

(2—418—2)

ღვთის-მოყვარულთა ქრისტიანეთა მიმართ

სოფელი ნაღვარევი, რომელიც მთიულეთშია, დარჩა უეკლესიოდ, ხალხი-კი აქ მეტად ღარიბია და დავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? იქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკავში 110 ვერსის მანძილზედ და ტანჯვა-ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკკლესიისა. ამ აზრით გ ამოვითხოვე წიგნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა აღვაშენო ნაღვარევის სამრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახე ლობაზედ. ვიმეორებ ამ თხოვნასა, ვვედრ ვ და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდებელ ქრისტეანეთა და ესთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

ჩ ე მ ი ა დ რ ე ს ი:

Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. губ. Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагвареви, причетнику Алексѣю Арганашвили.

ბორჩალოელ ქართველთა გულის-შემატკივართა მიმართ.

ახალშენ ეკატერინენფელდში (ბორჩალოს მაზრა), სადაც ნემცებთან ერთად მრავალი ქართველობა სცხოვრებს, გადმოსახლებული სოფლად სამინელის გაჭირვებისა გამო და მკვებავი გატანჯულის ცოლ-შვილისა დღიურის მუშაობით, არ არსებობს ეკკლესია ღვთისა, რომელშიაც ნივთიერად დამარცხებულ ერს შეეძლოს აღორძინდეს სულიერად მაინც და დააკმაყოფილოს თავისი რელიგიური გრძნობა-მოთხოვნილება.

უეკკლესიობისა გამო ქართველი გლეხი ხალხი და მასთან ყველა ისინიც, რომლებიც მსახურობენ აქ სხვა-და-სხვა მმართველობაში, დაიარებიან ნემეცთა ეკკლესიაში, სადაც თვით მოზრდილები და მეტადრე, ნემცურის ენის მცოდნე ახალთაობა, ისმენს ლიუტერის განდგომილს სწავლას.

ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო! მოგეხსენებათ, რა შედეგსაც მიგვწევს ეს სამწუხარო ამბავი, თუ ასე გაგრძელდა. ასაცილებლად იმ შემაძრწუნებელ შედეგისა, ჩვენ მოვიწადინეთ აღვაშენოთ აქ მართლ-მადიდებელთა ეკკლესია. მთავრობამ უყურადღებოდ არ დასტოვა ჩვენი კეთილი დაწყობილება და იმის დახმარებით შევაგროვეთ ორმოც თუმნამდე. ადგილობრივი მემამულენი გვპირდებიან ტყე-მასალას და ასაშენებელ ქვას უსასყიდლოდ, რომლის მოტანა იკისრეს თვით ნემცებმა. ასე, რომ განსახორციელებლად ამ აზრისა, გვჭირდება კიდევ იმოდენი ფული, რაც შეგროვილია ამ ჟამად. ეკკლესია იქმნება შინაურის ეკონომიით აშენებული, რომლისათვის კომიტეტმა შეიძინა სამასი ოთხ.-კ. საჟენი მიწა შუა ახალშენში უმაღლესის მთავრობის ბრძანებით.

ამისათვის, როგორადაც თვით ქართველი ერი, აგრეთვე მთავრობისაგან დადგენილი და დამტკიცებული კომიტეტი იერის მუხლს გულისა თვისისა და ღმობიერად სთხოვს ყველა ქრისტეს მოყვარე ქართველს, რომელნიც-კი ხახედულ არიან ბორჩალოელ ქართველთა ერის მწარე ხვედრ ცხოვრებაში,—ადგვიმართონ მკლავი მოწყალებისა და შეგვეწიგნენ ღვთის გულისათვის, ვისაც რით შეუძლიან. მათი სახელები იქნება სამუდამო მოსახსენებლად აღბეჭდილი მომავალ ეკკლესიის საკურთხეველსა შინა.

თავმჯდომარე კომიტეტისა, ქვეშის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის მღვ. სტეფანე ბაიდოშვილი.

კომიტეტის წევრნი:
- მკურნალი—ვლ. ინაევი
- გამომძიებელი—Мих. Вас. Чиловъ
- ბოქ. გიორ. ი. თ. ანდრონიკაშვილი
- მწარმ. საქ. ი. ი. თ. ციციშვილი.

ადრესი შემოწირულებათა: *Черезъ Шулаверы, Комитету по постройкѣ Екатериненфельдской православной церкви.*

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	„
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. Ш.	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправлении на кавказѣ Г. Туманова	„	60
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	„
მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინისა	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელისა	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა აბო ტფილელი	„	30
ლაზარილიო ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. ზ. უმიკაშვილისა	„	10
ტფილისი, მ. ჯანაშვილისა	„	50
თამარიანი, პოემა ს. გუგუნავასი	„	50
ნამყენი ვაზით ვენახის მოშენებას ქვარიანისა	„	5
სურამის ციხე, დ. ჭონქაძისა	„	15
კონსტანტინე ბატონიშვილი, თ. ხუსკივაძისა	„	5
ზღაპრები სურათებით	1	„
პაწია და ბუნკლია, სურათებით თარგმანი დ. ავალიანისა	„	30
„შოთა რუსთაველი“ მ. ჯანაშვილისა	„	40
Царица Тамара, მისივე	„	50

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Сентября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაჯიშვილი.